

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №1 იანვარი 2014 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

მოხარული ვარ რომ ამიერიდან სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონი გამოსცემს საინფორმაციო გაზეთს, რომლის საშუალებითაც მკითხველი დროულად გაეცნობა ჩვენი გიმნაზიისა და ეპარქიის უმნიშვნელოვანეს ამბებს.

ქრისტეს მადლით ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ ამ გაზეთი გამომცემელნი და მკითხველი.

სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსი
მეუფე იეგუდიელი.

მოგუნი და მწყემენსი მოვიდეს თაყუანისცემად ქრისტესა შობილისა ბეთლემს შინა ქალაქსა...

დღეს მეუფე მოვიდა განწმენდად ბუნებისა წყალთასა...

საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II

ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური–შიოლაშვილი 1933 წლის 4 იანვარს დაიბადა ქ. ძაუგში, ვლადიკავკაზში.

შიოლაშვილები უძველესი გვარის ღუდუშაურების განშტოებას წარმოადგენს და როგორც გადმოცემით არის ცნობილი, ამ გვარის წარმოშობა დიდი მეფის, ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული.

გიორგი შიოლაშვილსა და ნატალია კობაიძეს ახალშობილი 1933 წელს ქრისტესშობის დღეს მოუნათლეს ძაუგის წმ. ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში და მეფე ერეკლე II–ის პატივსაცემად, ირაკლი დაარქვეს. მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომელშიც მომავალ პატრიარქი იზრდებოდა მშობლებთან და და–ძმებთან ერთად კერძო ღვთისმსახურების ყველა წესს გულმოდგინედ აღასრულებდა.

გიორგი და ნატალია შიოლაშვილების ღვაწლით 1947 წელს ვლადიკავკაზში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარველის სახელობის ეკლესია აშენდა. მათ სამშობლო-

მეუფე იეგუდიელის 50 წლის იუბილე

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

სთან და საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქთან, კალისტრატე ცინცაძესთან მჭიდრო კავშირი არასოდეს გაუწყვეტიათ.

1941 წლის სექტემბერში ირაკლი შიოლაშვილი ქ. ორჯონიკიძის #22 საშუალო სკოლის პირველ კლასში ჩაირიცხა, რომელიც 1952 წელს დაამთავრა და მომავალმა პატრიარქმა სწავლის გაგრძელება მოსკოვის სასულიერო სემინარიაში გადაწყვიტა. 1956 წლიდან ირაკლი შიოლაშვილი უკვე ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე–12 საეკლესიო კრება–სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის არჩევნები და ახლადარჩეული კათოლიკოს–პატრიარქის აღსაყდრება 1977 წლის 23–25 დეკემბერს შედგა.

პატრიარქმა პირველ საშობაო ეპისტოლეში ასე მიმართა ქართველ ხალხს: „სარწმუნოება– ეს ნათელია მშვიდობის გზაზე, სარწმუნეობა თავადაა მშვიდობა და სასეოება მარადიული, სარწმუნოება წყარო არის სიყვარულისა, რომელიც ამაღლებს კაცის გულსა და გონებას. იგი ხიდი არის მიწიდან ცისკენ მიმავალი, დადექით მტკიცედ ამ ხიდზე, ჩვენ სიხარულით ვუჩვენებთ ამ ხიდისკენ მიმავალ გზას.“

პატრიარქმა მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო ქართული მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან.

პატრიარქი სიონის ტაძარში შეკრებილ ხალხს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო მრევლი, ასწავლიდა, თუ როგორ ელოცათ, რომელი ლოცვები ესწავლა, როგორ უდნა გადაეწერათ პირჯვარი, რისთვის იყო საჭირო წირვა–ლოცვაზე ბოლომდე დასწრება, რისთვის უნდა დაეცვათ მარხვა, ეთქვათ აღსარება და მიეღოთ წმინდა ზიარება, რისთვის იყო საჭირო ტაძარში სიჩუმის დაცვა მსახურების აღსრულების დროს და სხვა.

XX საუკუნის 60–70 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა „დისიდენტურ“ მოძრაობად მონათლეს. დისიდენტური მოძრაობისთვის ახაგაზრდა, განათლებული პატრიარქის მოსვლა იყო დიდი სიხარულისა და იმედის მომცემი, ამიტომ ქართველი მამულიშვილები უყოყმანოდ დადგნენ ილია II–ის გვერდით. პატრიარქი თავად ეროვნულ–გამანთავისუფლებელი იდეალების ერთგული იყო.

1988 წლის 14 ოქტომბერს სიონის საპატრიარქო ტაძრის ტერიტორიაზე არსებულ შენობაში პატრიარქმა საზეიმო ვითარებაში გახსნა თბილისის სასულიერო აკადემია.

2008 წელს თბილისში გაიხსნა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტი, რომელიც მემკვიდრეა გელათის აკადემიისა და არის წარსულის დიდი ტრადიციების გამგრძელებელი.

უწმინდესის აღსაყდრების დღიდან მრავალი ეკლესია–მონასტერი აღსდგა, სადაც დღეს წირვა–ლოცვა ტარდება, ასევე აშენდა უამრავი მონასტერი, თუმცა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის აგება და მისი მნიშვნელობა სრულიად განსაკუთრებულია.

2004 წელს პატრიარქმა აკურთხა წმინდა სამების ტაძარი.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ბაგრატის ტაძრის აღდგენას.

უკვე რამდენიმე წელია, წელიწადში რამდენჯერმე ტარდება საყოველთაო ნათლობა. საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, ილია II ხდება ყოველი მესამე ბავშვის ნათლია, პატრიარქს უკვე ათასობით ნათლული ჰყავს. ამასთან დაკავშრებით საგრძნობლად გაიზარდა დემოგრაფიული მაჩვენებელი.

მადლობა უფალს, ერი მოექცა უფლისაკენ, იგრძნო რომ ერთადერთი გზა გადარჩენისა სწორედ ის გზაა, რომელთაც ჩვენს წინაპრებს უვლიათ და ჩვენც ამ გზით უნდა ვიაროთ, ამ გზით უნდა მივიდეთ სამშვიდობოს, ამ გზით უნდა გაბრწყინდეს და გადარჩეს საქართველო.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა იმდენი საქმე გააკეთა, რომ ხშირად გაოცება გიპყრობს, როგორ შეძლო ერთმა ადამიანმა იმ უმძიმეს წლებში ამდენი საღვთო და საერო საქმის კეთება. ძველი უნიკალური ძეგლების შეკეთება და რეაბილიტაცია და ამდენი ახალი ეკლესიების აშენება.

> უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს ვულოცავთ აღსაყდრების 36-ე წლისთავს. დალოცვილი ყოფილიყავით თქვენი სიცოცხლის მანძილზე. უფალი იყოს თქვენი შემწე და მეოხი. შეგვეწიოს თქვენი ლოცვა-კურთხევა.
>
> ***ნინო დვალიშვილი, IX კლ.***

> გიმნაზიის III კლასის სახელით უწმინდესსა და უნეტარის ილია II-ს ვულოცავთ აღსაყდრების 36 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.
>
> ***ნინო ქირიკაშვილი, III კლასის მოსწავლე.***

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენ საყვარელ მეუფეს!

ხევისა და სტეფანწმინდის მთავარ ეპისკოპოსს მეუფე იეგუდიელს , დღეს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.

გილოცავთ თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოებავ, შეგეწიოთ ამ დღეს მოხსენებული წმინდანის, ანტონი დიდის ლოცვა და მისი მეოხებით უფალმა კეთილად წარმართოს თქვენი ღვთისმსახურება, გაგიმრავლოთ და გაგიძლიეროთ მრევლი, მსუბუქად და მართლად გეტარებინოთ მძიმე ჯვარი ღვთის წინაშე.

მისი მაღალყოვლადუსამღვდელოებობა მეუფე იეგუდიელი– ერისკაცობაში გოჩა ტაბატაძე დაიბადა 1964 წლის 30 იანვარს საჩხერის რაიონის სოფ. ზედა ბერეთისში. საშუალო სკოლა საგურამოში დაამთავრა. მოიხადა სამხედრო სამსახური და 1987 წელს ჩააბარა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც 1993 წელს დაამთავრა.

30 წლის ასაკში დაიწყო მონასტრული ცხოვრება ზედაზნის მამათა მონასტერში.

მეუფე იეგუდიელი 1995 წლის 5 იანვრს ბერად აღკვეცეს მცხეთის ჯვრის მამათა მონასტერში, ხოლო 29 იანვარს კი საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II–მ დიაკვნად აკურთხა. მალევე– ლაზარეს შაბათს მღვდელ–მონაზნად დაასხა ხელი და ქვათახევის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში გაამწესა. აქ მან საკმაოდ რთული და განსაცდელებით სავსე დღეები განვლო.

ცნობილია, რომ მოძღვარმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ადამიანის სულისათვის მარადიული ნეტარებისა და სასუფევლის დამკვიდრებაში. ამდენად მძიმეა მოძღვრის ჯვარი ერის წინაშე.

წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ჩვენ მოძღვრებისაგან გაცილებით მეტად ვართ დავალებული, ვიდრე ხორციელი მამებისაგან, რომლებიც ამ ქვეყანაში და ამ ქვეყანასთან ერთად საცხოვრებლად გვაჩენენ, ხოლო ისინი–სულიერი მამები, ზეცისათვის და ღმერთთან ერთად მარადიული ცხოვრებისათვის.“

წმინდა მამა ანტონი დიდი კი გვირჩევდა, ჯერ დავრწმუნებულიყავით სასულიერო პირის გამოცდილებასა და მართლხმიერებაში და მხოლოდ ამის შემდეგ მიგვეპყრო სმენა მისი სიტყვებისათვის.

2000 წლის 16 ივლისს ბერ იეგუდიელს იღუმენად დაასხეს ხელი. 2002 წელში პატრიარქის კურთხევით აყვანილი იქნა არქიმანდრიტის ხარისხში.

2003 წლის 2 სექტემბერს სვეტიცხოვლის ტაძარში იგი აყვანილი იქნა ეპისკოპოსის ხარისხში. იგი თიანეთისა და ფშავ–ხევსურეთის ეპარქიაში გაამწესეს. აქაც, როგორც ხევში სირთულეებით სავსე გზა განვლო– ახლად გაცნობიერებულ მრევლის სარწმუნოებრნივ ცხოვრებაზე გადაყვანას დიდი ძალისხმევა დასჭირდა, მაგრამ აქაც ნათელი კვალი დატოვა თავისი სულიერი მოღვაწეობისა.

სირთულეები და განსაცდელები ასწავლიან ადამიანს მხურვალე ლოცვასა და ღვთის შეწევნის ძიებას, ხოლო ბერ იეგუდიელს სირთულეები მრავლად და მრავალნაირი ჰქონდა გადასალახავი.

ძნელი იყო საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის შშობლიურ კუთხეში მოღვაწეობა. იგი, როგორც აღვნიშნეთ ერთადერთი ღვთისმსახური იყო იმ დროს ხევში. იგი მონასტერში საწოლს მიჯაჭვული უსინათლო, ორივე ხელ–ფეხზე სახსრებდამტვრეულ ავადმყოფთან ცხოვრობდა, რომელსაც ყოველწუთს მომელელი სჭირდებოდა და ისიც თავდაუზოგავად უვლიდა და პატრონობდა. საკუთარი ხელით აჭმევდა, ბანდა, ურეცხავდა, ამავდროულად მონასტროს შენობასა და კარ–მიდამოს უვლიდა, შუადამის შემდეგ კი სეფისკვერს აცხობდა წირვისათვის, ხშირად ამისათვის შემოწირულ უკანასკნელ ჯამ ფქვილს ხმარობდა, ხოლო თვითონ გამომშრალ–გამხმარი პურით საზრდოობდა–ხშირ შემთხვევაში კი შიმშილობდა.

თქვენო მეუფეებავ! ჩვენ საღმრთო ვალად მიგვაჩნია არ დავივიწყოთ თქვენი ღვაწლი, თქვენი კეთილი საქმეები, რადგან მდუმარებით, მოთმინებით, საშინელი სამსჯავროს გახსენებით, საკუთარი ნების მოკვეთით გვასწავლიდით როგორ გვეცხოვრა მართლად, ღვთივ–სათნოდ, კეთილგონიერი მდუმარება იყო თქვენი ქადაგება და ღვაწლი, რომელიც ასე დააფასა და ვფიქრობთ შეაწირა უფალმა.

როგორც პავლე მოციქული ბრძანებს: „მოძღვარნი სიყვარულის გარეშე არარანი არიან, თუნდაც იყვნენ ისინი უაღრესად განსწავლულნი, მათზე მინდობილ სულებს ვერ განკურნავენ სიყვარულის გარეშე.“

სწორედ სიყვარულის გამოვლინების უდიდესი ნიჭი მიმადლა უფალმა მეუფეს, იგი არა მხოლოდ ამბიონიდან ქადაგებს სიკეთესა და სათნოებას, არამედ თვითონაა ცოცხალი მაგალითი მრევლისათვის. მისი ყოველი ქადაგება შეზავებულია უდიდესი სიმდაბლითა და სიყვარულით.

მიუხედავად იმისა, რომ ხევში მოღვაწეობის მანძილზე მრავალი განსაცდელი შეხვდა, მისგან ბედის სამდურავი არასოდეს გვსმენია, როგორც საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ბრძანებს–„ყოველი კაცი სანთელს უნდა ჰგავდეს, ირგვლივ მყოფთ უნდა უნათებდეს და ათბობდეს კიდეცო.“ ეს სიტყვები სწორედ შეგეფერებათ თქვენ. სიკეთით, სიყვრულით და თავმდაბლობით ათბობთ გარშემო მყოფთ.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ დაბადებიდან 50 წლისთავს. გისურვებდით მრავალჟამიერ ყოფილიყოს თქვენი სულიერი ღვაწლი, თქვენი ყველაზე დიდი სამკაული უფლისაგან– უდიდესი თავმდაბლობა და ვინატრებდით, რომ მთელი სიცხადით ახდენილიყოს თქვენზე სახარებისეული სიტყვები: „ესრეთ ბრწყინავდნენ ნათელი შენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ კეთილნი და ადიდებდნენ მამასა შენსა ზეცათასა.“

მეუფეს დაბდების დღე მიულოცეს ხევის უხუცესებმა: ბატონმა ვახტანგ აქაიშვილმა და ბატონმა ვანო ჯანუჟაშვილმა. მათ გაიხსენეს ჩვენი მამების, განსაკუთრებით კი მეუფე იეგუდიელის ღვაწლი ხევში მოსახლეობის ეკლესიისაკენ მოქცევის საქმეში. მათ შეძლეს ხალხის გათვითცნობიერება რელიგიის საკითხებში, ყველა სოფელში შეიქმნა მრევლი და მოხუცი მეუღლეებიც კი ჯვარს იწერდნენ. თვითონ მე–აღნიშნა ბატონმა ვახტანგ აქიაშვილმა– 65 წლის ასაკში დავიწერე ჯვარი. დიდხანს გეცოცხლოთ მეუფეო ჩვენი რაიონის სულიერებისათვის.

პატივცემულო საზოგადოებავ! –მეუფეო, მამანო! დღევანდელი ჩვენი ღონისძიება დასასრულს მიუახლოვდა და გვინდა მადლობა გადავუხადოთ ეაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობას და პირადად გამგებელ შალვა ელოშვილს სრული თანადგომისათვის. მადლობა, ყველა ამ ღონისძიების ორგანიზატორსა და მონაწილეს!

ხვიჩა არაბული

გილოცავთ, ჩვენო მეუფეო!

მოგესალმებით თქვენო მათალყოვლადუსამღვდელოესობავ, მოგესალმებით პატივცემულო მამებო, მოწვეულო სტუმრებო, დამსწრე საზოგადოებავ.

დღეს ჩვენს გიმნაზიაში, რომელიც წმინდა ილია მართლის სახელს ატარებს სასიხარულო დღეა. ჩვენ ვზეიმობთ სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოსის და გიმნაზიის დირექტორის მაღალყოვლადუსამღვდელო იეგუდიელის დაბადებიდან 50 წელს.

მეუფე იეგუდიელი დიდი ხანია ხევში მოღვაწეობს, იმდენად დიდი ხანია, რომ საუკეთესოდ იცნობს მოხევეების ყოფა-ცხოვრებას, ჩვენს ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებას. ამიტომაცაა, რომ მას არასოდეს უჭირს მოხევეების გულისაკენ მიმავალი გზით სიარული, ადვილად აღწევს მათ გულში და დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

გაუთავებლად შეიძლება საუბარი ხევში მოღვაწეობის მანძილზე მის მიერ გადატანილ გაჭირვებაზე, რომელიც არასოდეს აშინებდა და არც უკან ახევინებდა იმ არჩეული გზიდან, რომელსაც სულიერი საზრდო მოჰქონდა მოხევეებისათვის. იგი თავისი გამოზომილი სიტყვითა და სიდინჯით, თავმდაბლობით, უბრალოებით და დიდი სიყვარულით მოყვასისადმი ყველაზე ჯიუტ მოხევესაც კი უკან ახევინებდა და მოკრძალებას უნერგავდა მის მიმართ.

აქ მყოფთაგან ბევრია მსურველი თავისი გამოსვლით მოეფეროს და პატივისცემა გამოხატოს, მის ღვაწლზე ისაუბროს. მე კი, როგორც ამ გიმნაზიის ერთ-ერთი თანამშრომელი, გიმნაზიაში მეუფის მოღვაწობაზე მოგახსენებთ მცირედს.

მეუფე იეგუდიელის ზრუნვა გიმნაზიის აღსაზრდელებზე ბევრად აღრე დაიწყო, ვიდრე უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კურთხევით გიმნაზიის დირექტორად დაინიშნებოდა.

1999 წელს უწმინდესისა და უნეტარესის საქართველოს კათალიკოს პატრიარქის კურთხევით ხევში აჩხოტის წმინდა ნიკოლოზის სახელობის მამათა მონასტრის ბაზაზე გიმნაზია გაიხსნა. ამ მონასტრის წინამძღვარი კი მეუფე იეგუდიელი იყო. იგი თითქმის ერთი წლის მანძილზე ზრუნავდა გიმნაზიის მოსწავლეებზე. მაშინ გიმნაზიაში 12 მოსწავლე იყო, ისინი მონასტერში ცხორვობდნენ. პარალელურად მეუფე იეგუდიელი საღვთო სჯულსაც ასწავლიდა. შემდეგ დაიწყო ამ შენობის აღდგენა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით. აქ მხოლოდ კედლები იყო.

2007 წლის პირველ იანვარს მეუფე იეგუდიელი დირექტორად დაინიშნა. მაშინ საკლასო ოთახებში იდგა შავი ღუმელები, ფანჯრებიდან უბერავდა ქარი. არ გვქონდა შესაფერისი სასწავლო ინვენტარი.

პირველი საზრუნავი იყო კარ-ფანჯრების გამოცვლა. შემდეგ ცენტალური გათბობის მოწესრიგება, სასწავლო ინვენტარის შეძენა მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. სატრაპეზოს მოწყობა და მოსწავლეთა კვების რაციონზე ზრუნვა.

ამის შემდეგ მეუფემ სპორტული დარბაზის მშენებლობაზე დაიწყო ფიქრი. თვითონ შექმნა პროექტი, დაიწყო მშენებლობა. ყველაფერი ამის პარალელურად საჭირო იყო თანხების მოძიებაც. და ეს ყველაფერი წარმოუდგენელი სიმშვიდითა და სიყვარულით კეთდებოდა.

დღეს გიმნაზიას აქვს ისეთი სპორტული დარბაზი თავისი აღჭურვილობით, რომ თბილისის გამორჩეულ საჯარო სკოლებსაც შეშურდება და იგი მხოლოდ გიმნაზიის მოსწავლეებისთვის არაა, მთელი რაიონის ახალგაზრდობისთვისაა.

აი, ასე დღითი-დღე უმჯობესდებოდა გიმნაზიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

გაკეთდა კომპიუტერებით აღჭურვილი კლას-კაბინეტები და სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა. უმაღლეს დონეზე გარემონტდა მოსწავლეთა საძინებლები, შეძენილი იქნა ინვენტარი. მოეწყო საშხაპეები, სველი წერტილები. გიმნაზიამ წარმატებულად გაიარა ავტორიზაცია.

გიმნაზიაში 25 პედაგოგი მუშაობს, ყველა კვალიფიციურია და თითქმის ნახევარი სერთიფიცირებული. მთლიანად გიმნაზიაში 55 თანამშრომელია. გიმნაზიას ყავს ექიმი და ექთანი, აღზრდელ-მასწავლებლები და კომენდატები, ძიძები.

მოსწავლეები მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ არიან. კერძოდ, დილით ძიძები საუზმის შემდეგ მასწავლებლებს და კლასის დამრიგელებლებს აბარებენ მოსწავლეებს, სასწავლო პროცესის შემდეგ ტრაპეზობენ და შესვენების შემდეგ მათთან მეცადინეობას იწყებენ აღზრდელ-მასწავლებლები, რომლებიც მოსწავლეებს გაკვეთილების მოშზადებაში ეხმარებიან, შემდეგ კი ძიძები იბარებენ მოსწავლეებს და ღამეც არ ტოვებენ უყურადღებოდ.

სიტყვის დასაწყისში გითხარით რა პირობები დახვდა მეუფეს, როდესაც იგი დირექტორად დაინიშნა, დღეს კი თვითონაც ხედავთ რა პირობებია. ამ ყველაფრის შექმნაში მეუფის შრომა და ოფლია დაღვრილი, ყველაფერი რასაც ხედავთ მისი ხელშენავლებია. ჩვენ კი რა გვევალება, ვასწავლოთ და აღვზარდოთ ბავშვები ღირსეულ მოქალაქეებად.

ადამიანის ცხოვრება გზას ჰგავს, რომელიც შეიძლება იყოს მოკლე, ან ხანგრძლივად სასიარულო, მაგრამ ორიევე შემთხვევაში უნდა ვიცოდეთ, რომ ეს გზა არ იქნება იოლად სავალი და მხოლოდ სახარულის მომნიჭებელი. არც იმას უნდა ვფიქრობდეთ, რომ იგი იქნება აუტანლად მძიმე და დამთრგუნველი. და რამდენად ბედნიერები ვართ, როდესაც ჩვენ, პედაგობებს და მოსწავლეებს ამ გზის ღირსეულად გავლაში ჩვენი მეგზური და გზის მაჩვენებელი მეუფე იეგუდიელი გვყავს.

მიწიერი ჩვენი ყოფა სინამდვილეში გამოცდაა და ჩვენ ვალდებულნი ვართ, ეს გამოცდა ჩავაბაროთ. ამას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ვიცხოვრებთ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით.

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოებავ, სტეფანწმინდის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზია-პანსიონის პედაგოგები, მოსწავლეები და თანამშრომლები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელად ხანგრძლივად სიცოცხლეს, ეპარქიის სიძლიერეს. მრევლის სიმრავლეს, გიმნაზიის მრავალი კურსდამთავრებულის გამოშვებას. დაე, სიამაყით გავსებდეთ მათი ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება, რადგან მათი აღზრდის საქმეში თქვენი დიდი წვლილი დევს. გვიყვარხართ ძალიან. უფალი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

ციცო ღუდუშაური

მაღალყოვლადუსამღვდელოეს მეუფე იეგუდიელს ვულოცავ 50 წლის იუბილეს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. ვთვლი რომ მან ბევრი გააკეთა გიმნაზიისათვის. საამაყო მეუფე გვყავს მოხევეებს.

მარიამ ჯამარჯაშვილი, IX კლ.

გავკადნიერდი
მიძღვნილი მეუფე იეგუდიელისად

გავკადნიერდი, მოკრძალებულ ლექსსაც გავბედავ,
გზა — ტაძრისაკენ განკვართული მეჩვენა ძნელი,
უბრალო ჯვაღლოს მოძღვარისას — აწვიმ-ათოვდა,
გათოშილ ხელში ცრემლდებოდა თაფლის სანთელი.

ხან მწუხრის ზარებს ჩამორეკდა ხევის ტაძრებში,
ხან ცისკრის მთიებს ჩაესმოდა ბერის გალობა,
უხეშ ლოდებსაც გამოჰკვეთდა ჩუქურთმად ხელში —
და ლოცვა-ღვაწლით ხევს მოჰფინა უფლის წყალობა.

ერთად განვვლეთ გზა... „არ ყოფილა სუბუქი ოდენ“,
სახარებას ვით გადიფურცლა წუთისოფელი,
გავკადნიერდი, კალმახივით გავსხლტი ლექსიდან —
მოღვაროო ჩემო, თავად დავრჩი შეუცნობელი.

ვარ ლიბოდათხრილ სააქაოს იფქლი თუ ღვარძლი,
ლექსად მიიღეთ სიყვარული, თუ ეს განდობა,
„ჩვენთან არს ღმერთი“ — წლების თოვაც თუნდ
იყოს განძი
მოძღვაროო ჩემო, თქვენ რომ მყავხართ —
გამჩენს მადლობა!

მანანა გელაძე

პატრიარქის მოხევე ნათლულები ჩვენი მომავალი

გიორგი ოდიშვილი და ნინი ალიბეგაშვილი

სიყვარული

როცა ხატავდა პიკასო,
შენზე ამბობდა ჩუმად მიყვარსო,
სიბრაზით ამტვრევს როიალს ბახი,
მის ნაცვლად ტაშს ხომ შენ გიკრავს ხალხი.

მაკედონელიც შიშმა აიკლო,
როცა მან შენი გული ვერ დაიპყრო,
ვერსად ვერ ნახა სხვა შენნაირი
და შეიშალა თვით აინშტაინი.

ადამმა შენში გაცვალა ევა,
ის ხომ სხვაგვარად ვერ მოიქცევა,
შენ სამოთხეში მუდამ გელიან,
ანგელოზები შენზე მღერიან

გიორგი ჩოფიკაშვილი XI კლასი

გიმნაზიის მოსწავლეებს შორის ჩატარდა კონკურსი საუკეთესო კალიგრაფიის გამოსავლენად. გაიმარჯვა მე-4 კლასის მოსწავლე ანა კაზალიკაშვილმა. მასწავლებელი ნინო ღუდუშაური. მისმავე მოსწავლემ თამუნა ქუშაშვილმა კინგსის ოლიმპიადაზე მათემატიკაში აიღო მე-3 ხარისხის დიპლომი. გაზეთის საშუალებით გამარჯვებულებს ვულოცავთ და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

გიმნაზიის პედაგოგ-მასწავლებლები.

ალ. ყაზბეგი — დაიბადა 1948 წ. 8 იანვარს

იმედის ფიგნი მქონდა ჩანთაში

მტერი ღმუოდა ცოფმორეული,
ჰქუხდა ბრძოლის ხმა დაუძინარი
შერკინებათა ცქერას ჩვეული
წარბშეუხრელად იდგა მყინვარი.

ბრძოლის ყიჟინა ზეცას სწვდებოდა
და ტყვიის ცეცხლის სასტიკ ავდარში
გულზე იმედის ვარდი მეკონა —
ყაზბეგის წიგნი მქონდა ჩანთაში.

მტერს ნუ დაინდობ, მოჰკალ გველივით,
ვისაც სწადია ჩვენი გათელვა!
შემომძახოდნენ ხევისბერიევით
მთები დამდგარი გოლიათებად.

ურდოს არბევდა გმირი იაგო,
გულმხნე ელგუჯაც — აბჯარასხმული,
გამარჯვებათა საგანთიადოდ
ბაქსანთან კვესდა კობას ფრანგული.

დაჰკარით! — მთებმაც გაიმეორეს,
ხმა მტრის სიკვდილის გადამყივარი,
ბერლინისაკენ დაძრულ მეომრებს
გზას გვილოცავდა ბერი მყინვარი.

ბრძოლის ქუხილი ცხრა მთას სწვდებოდა,
სისხლის, სიკვდილის დელგმა ავდარში,
იმედად გულზე ვარდი მეკონა —
ყაზბეგის წიგნი მქონდა ჩანთაში.

აკაკი გეწაძე

თქვენ მომიტევეთ მოძღვარო
მეუფე ეგუდიელს

დრო ასე ძვირად რომ ფასობს
უქმად დავხარჯე, ვაიმე!
თქვენ მომიტევეთ მოძღვარო,
თუკი შევცოდე რაიმე!
რისი შეძლებაც მე მქონდა
ისიც ვერ შევძელ, ვინანი,
ვის არ მოსვლია შეცდომა,
შეუცდენელი ვინ არი?
ბევრჯელ შევცდი და შევცოდე,
ყოფა უჭკუოდ გავლიე,
დღეს ვინანიებ ჩემ ცოდვებს,
მოძღვარო, მე ვინანიებ!
კაცი ვარ, სუსტი არსება,
დიდად რომ უჭნდა წვრილმანი,
ამქვეყნად ვინ არ შესცოდა,
მთლად უცოდველი ვინ არი?!
დრო ასე ძვირად რომ ფასობს
უქმად დავხარჯე, ვაიმე!
თქვენც მომიტევეთ მოყვასნო
თუ გაწყენინე რაიმე.
ღმერთმა გამყოფოს მუდამ ჯანმრთელი
უფალი იყოს შენი მშველელი
გზას გინათებდეს ქრისტეს ნათელი
და იოანე ნათლისმცემელი
და გყოს სიწმინდით როგორც სანთელი
ნაკურთხი წყალი და საკმეველი

თენგო ავსაჯანიშვილი

ხევი

საქართველოს რაიონებს შორის ხევი ერთ-ერთ მრავალმხრივ საინტერესო, მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე მაღალმთიანი რაიონია. ტერიტორიითა და მოსახლეობით ხევი არ არის დიდი, მაგრამ საკმაოდ მდიდარია თავისი წარსულით, კარგად შემონახული ქართული ტრადიციებით, ფოლკლორითა და მატერიალური კულტურის ძეგლებით.

ჩრდილოეთის მხრიდან საქართველოში შემოსული კაცისთვის სწორედ ხევია პირველი კუთხე, საიდანაც იწყება საქართველოს დათვალიერება. ამიტომ ხევის ღირსშესანიშნაობების გაცნობასაც საქართველოს ჩრდილოეთ კარებიდან - დარიალის ვიწროებიდან უნდა შევუდგეთ.

ქ. ვლადიკავკასიდან მომავალი მგზავრი მდ. თერგის ხეობის აღმა სვლით 30 კილომეტრის შემდეგ უკან მოიტოვებს ჩრდილო ოსეთის ასს ტერიტორიაზე მდებარე სოფლებს (ბალთა, ჩიმი, ლარსი), სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენენ და დარიალის ჭიშკრით საქართველოში შემოდგამს ფეხს.

დარიალის ხეობის გრანდიოზული ხეობა მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ რა იქნებოდა ეს ხეობა თავისი ბუმბერაზი კლდეებით და მქუხარე თერგით, რომ ადამიანის თვალს არ იტაცებდეს საუკუნეების წინ შექმნილი მატერიალური ძეგლები, რომელთა უმრავლესობა ნანგრევების სახითდაა შემორჩენილი. მათ შორის მნახველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხალხის მიერ თამარის ციხედ სახლედებული დარიალის ციხე და დავითის (აღმაშნებლის) ციხედ წოდებული ერთერთი კოშკი. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დავითის ციხე დგას „არაგვის აღოსავლეთ კიდესა ზედა“, ე.ი. მდინარე თერგის მარჯვენა მხარეზე, სათვალთვალოდ მარჯვე კლდეზე. ამ სადარაჯო კოშკიდან მეთვალყურეობდნენ საქართველოში შემოსასვლელ კარებს და სათანადო ნიშანს აძლევდნენ დარიალის მთავარ სამაგრეში მყოფ მეციხოვნეებს. მისგან დაახლოებით 1 კმ-ის დაშორებით მდ. თერგის მარცხენა ნაპირზე დგას კიდევ ერთი კოშკი, რომელიც საბრძოლო ფუნქციის დაკარგვის შემდეგ სალოცავად იქცა და დღეს ბახტრის წმინდა გივარგის სახელს ატარებს.

აღნიშნულ კოშკებთან მისვლას ართულებს საქართველოს სამხედრო გზიდან მიუდგომელი მდგომარეობა. სამაგიერდო ასეთი დაბრკოლება არ ხვდება დარიალის ციხის მნახველს. გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში ისედაც მრავალგზის ნრგევა-დაზიანებას გამოვლილი ეს გრანდიოზული ნაგებობა კიდევ ერთხელ დაზიანდა გაზსადენის გაყვანის დროს.

დარიალის ციხე მდებარეობს მდ. თერგის მარცხენა მხარეზე, კლდოვან ტერასაზე, რომლის ფართობი 1 ჰექტარს აღემატება, ხოლო სიმაღლე თერგიდან დაახლოებით 70 მეტრს აღწევს. ციხეს შემორტყმული ჰქონდა ქვითკირის კედელი, რომელშიც დატანებული იყო სათვალთვალო კოშკები. ამ კედლებთან ერთად ციხეს იცავდა და მას მიუდგომელს ხდიდა კლდე, რომელზედაც ციხის ნანგრევები დღესაც გადმოჰყურებს მდ. თერგს. ციხის სამხრეთ კედელში დატანებული გვირაბით ჩადიოდნენ თერგზე წყლის მომარაგების მიზნით. ჟამის სიავის შედგად ციხეს რამდენჯერნე განუცდია ნგრევა და ის სხვადასხვა დროს არაერთხელ აღუდგენიათ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ აღნიშნული სიმაგრე უძველესი დროიდან გვიანობამდე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ჩრდილოეთის კარის დაცვის საქმეში.

ვ.ითონიშვილის „ხევი“

რედაქტორი
მანონი გომიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ციცო ღუდუშაური, ნანა ეფხოშვილი, ნინო თურქიაშვილი, თამარ ოდიშვილი
მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია-პანსიონი